ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2016 წლის 4 ოქტომბრის №10/17620 წერილის თანახმად გიგზავნით საკრებულოს წევრის 2016 წლის სამუშაო ანგარიშს დანართის სახით, შესაბამისი რეაგირებისათვის.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

თავმჯდომარის მოადგილე:

მალხაზ მჭედლიშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი

№ 10/17620 17.10.16 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის, მალხაზ მჭედლიშვილის

2016 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს მე-12 და მე-13 მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 13 და საკრებულოს 24 სხდომაში, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 20 და სარევიზიო კომისიის 8 სხდომის მუშაობაში;

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსათვის" მიერ გამართულ 9 სხდომის მუშაობაში;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 74 დადგენილებასა და საკრებულოს 341 განკარგულების მიღებაში;

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნ(ებ)ის მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის №07.04.155 განკარგულებით შექმნილი კომისიის 12 სხდომის მუშაობაში;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 3 სხდომის მუშაობაში, სადაც განხილულ იქნა 35 საკითხი, აქედან დადებითი დეკომენდაცია მიეცა 18 საკითხს, 8 შეფასდა უარყოფითად, ხოლო 9 საკითხი გადაიდო შემდგომი განხილვისათვის.

სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის ფარგლებში მე, როგორც საკრებულოს წევრი, მონაწილეობას ვიღებდი ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანებისა და გამოყენების რეგულირების საკითხთა საბჭოს მუშაობაში, დავესწარი 48 კომისიის სხდომას. განხილულ იქნა 2466 საკითხი, აქედან თანხმობა გაიცა 1203 მოთხოვნაზე, ხოლო 1263 შეფასდა უარყოფითად.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის ფარგლებში შევხვდი და მოვუსმინე სულ 246 მოქალაქეს; შევისწავლე და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოვახდინე მოქალაქეთა 8 განცხადებაზე.

მიმდინარე წელს არჩეული ვიყავი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრად და მონაწილეობა მივიღე ზემოთხსენებული კომისიის მუშაობაში.

ვესწრებოდი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ასევე დედაქალაქის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

თავმჯდომარის მოადგილე :

მალხაზ მჭედლიშვილი